Monthly Newsletter
ივნისი, 2025
Vol. 2, Issue 6

SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS

PRME SIGNATORY MEMBER

LIBRA ALLIANCE

GRUNI
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი
GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY

მდგრადი განვითარების ცენტრი
GRUNI SDGs CENTER

მოგესალმებით ივნისის გამოცემით!

ერთად გავეცნოთ ცენტრის პროგრესს მდგრადი განვითარების მიმართულებით. ამ თვის გამოცემაში გაგაცნობთ ინოვაციურ პროექტებს, სამომავლო ღონისძიებებს და ამ ღონისძიებებში მონაწილეობის გზებს!

Website

Facebook

2025 წლის 5-6 ივნისს თბილისში მდგრადი განვითარების საკითხებზე რეგიონული ფორუმი გაიმართა. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, როგორც ფორუმის ერთ-ერთი თანაორგანიზატორი, და ჩვენი ცენტრი (GRUNI SDGs Center) ფორუმში აქტიურად მონაწილეობდა, რაც ხაზს უსვამს უნივერსიტეტის აკადემიურ და ინსტიტუციურ პასუხისმგებლობას რეგიონის მდგრადი განვითარებისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიჰყევით ბმულს:
https://www.facebook.com/share/p/16YZ9TfBCm/

მნიშვნელოვანი პროექტი:

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი GRUNI-ის მდგრადი განვითარების ცენტრსა და ArtOa-ს შორის

მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ GRUNI-ის მდგრადი განვითარების ცენტრსა და ArtOa-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მიზანია ცენტრის არსებული მდგრადი ინიციატივებისა და პროექტების, მათ შორის პროექტის, ,,კედლის მხატვრობა - მდგრადი განვითარების შესახებ ცნობიერების ამაღლების კონკურსი“ მხარდაჭერა.

GRUNI-ის მდგრადი განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული კედლის მხატვრობის კონკურსი ხელოვანებს სთავაზობს შესაძლებლობას, ქუჩის მხატვრობის გზით წვლილი შეიტანონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) პოპულარიზაციის პროცესში.

რატომ უნდა ჩაერთო კონკურსში?

- კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში მიიღებ ფულად პრიზს 500 ₾-ის ოდენობით;
- გამარჯვებული არტისტის პორტფოლიო განთავსდება ArtOa-ს სოციალურ ქსელებში;
- ArtOa-ს რჩეული ფინანსური პრიზის სახით მიიღებს 200 ₾-სა და პლატფორმაზე არსებულ 150 ერთეულ proposal coins-ს, რაც არტისტს დაეხმარება დამკვეთის მიერ განთავსებულ შეკვეთაზე შეთავაზებების გაგზავნაში.

პროექტი ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და ArtOa-ს მხარდაჭერით.

განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 31 ივლისი.

დეტალები იხილეთ აქ:
https://gruni.edu.ge/uploads/files/News/2025/04/Call_for_Participation.pdf

info.sdgscenter@gruni.edu.ge
+995 557 311 556; +995 (32) 23 84406(211)

Monthly Newsletter
ივნისი, 2025
Vol. 2, Issue 6

SUSTAINABLE DEVELOPMENT GOALS

PRME SIGNATORY MEMBER

LIBRA ALLIANCE

GRUNI
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი
GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY

მდგრადი განვითარების ცენტრი
GRUNI SDGs CENTER

პროგრეს-ანგარიში

მაკულატურის ყუთი GRUNI-ში

GRUNI-ის მდგრადი განვითარების ცენტრის ქოლგის ქვეშ ჩამოყალიბებული SDGs სტუდენტური კლუბის ინიციატივით უნივერსიტეტში განთავსდა მაკულატურის ყუთი, რომელიც განკუთვნილია ქაღალდის ნარჩენების გადამუშავებისათვის. მაკულატურის ჩაბარებისას სრულად არის დაცული პერსონალური მონაცემების დაცვის ყველა შესაბამისი სტანდარტი. მსგავსი ინიციატივები უნივერსიტეტს არა მხოლოდ გამოარჩევს გარემოსდაცვითი მდგრადობის ხელშეწყობის თვალსაზრისით, არამედ ზრდის სოციალური პასუხისმგებლობის განცდას ინდივიდებში.

ახალი საგანმანათლებლო პროგრამები

GRUNI-ის მდგრადი განვითარების ცენტრმა დაასრულა 2025 წლის სადოქტორო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება. პროგრამები პასუხობს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს (SDGs), განათლების პასუხისმგებლიანი მენეჯმენტის პრინციპებსა (PRME) და გაეროს გლობალურ შეთანხმებას (GC). სააკრედიტაციო პროცედურების წარმატებით დასრულების შემდგომ, გრუნი სტუდენტების პირველ ნაკადს 2025 წლის სექტემბრიდან მიიღებს.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიჰყევთ ბმულს:
https://www.gruni.edu.ge/main/news/1742901854

EXCITING NEWS

სოციალური მეწარმეობის ვორკშოპი

2025 წლის 9-11 ივნისს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში, როგორც ოლიმპიადის ოფიციალურ მასპინძელ ორგანიზაციაში, მდგრადი განვითარების ცენტრის ორგანიზებით, ჟენევის უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული SDG ოლიმპიადა 2025-ის ფარგლებში, სოციალური მეწარმეობის სამდღიანი ვორკშოპი ჩატარდა.

ვორკშოპი მიზნად ისახავდა სტუდენტებისათვის დეტალური ინსტრუქციების მიწოდებას საქართველოს საბაზრო ინდუსტრიაზე მორგებული პერსპექტიული, მოგებაზე ორიენტირებული სოციალური მეწარმოების ბიზნეს კონცეფციის შესამუშავებლად. ბიზნეს კონცეფციის ჩამოყალიბების პროცესში მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, ემუშავათ შემდეგ თემატიკაზე: ბიზნესი, როგორც სამოქალაქო აქტორი; ნარჩენების მართვა; დაბინძურება; ხელოვნური ინტელექტი და მდგრადობა და მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირება საგანმანათლებლო კურიკულუმში.

სოციალური მეწარმეობის ვორკშოპი მდგრადი განვითარების ცენტრის დირექტორმა, თამარ ბიწაძემ გახსნა. ვორკშოპს GRUNI-ის მდგრადი განვითარების ცენტრის თანადამფუძნებელი და Libra Alliance-ის პრეზიდენტი, საფრანგეთის მეწარმეთა ეროვნული ჯილდოს მფლობელი, პროფესორი მეჰდი მაჯიდი უძღვებოდა.

ვორკშოპზე სოციალური მეწარმეობის ეკონომიკური ღირებულებისა და სოციალური საწარმოების მარკეტინგის შესახებ მოხსენებით გამოვიდნენ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი, პროფესორი ვახტანგ ჭარაია და ბიზნესისა და მართვის სკოლის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, ბიზნესისა და მართვის სკოლის პროფესორი, თენგიზ თაქთაქიშვილი.

FOLLOW US

Facebook SDGs Center

ეწვიეთ ვებ-გვერდს:
GRUNI SDGs Center

RECOMMENDED

წყაროები:
https://www.unprme.org/
https://sdgs.un.org/goals

info.sdgscenter@gruni.edu.ge
+995 557 311 556; +995 (32) 23 84406(211)